

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა

სიმონ გაბრიჭიძე
ველფეარ ფაუნდეიშენ

შედეგები

ზუსტად გაირკვეს და დიფერენცირებულად განისაზღვროს კერძო დაზვევიდან პროგრამის “მინიმალურ პაკეტში” მოხვედრილი იმ ბენეფიციარების საჭიროებები, რომლებსაც კერძო დაზღვევა შეუწყდათ სამსახურის დაკარგვის ან სხვა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მიზანშეწონილია სახელმწიფომ შეიმუშავოს დაავადებების განფასების ეფექტური მექანიზმები, რომლებიც მინიმუმამდე შეზღუდავს პროვაიდერი დაწესებულებების მიერ მანიპულირების საშუალებას.

პროვაიდერების მხრიდან მორალური რისკის პრობლემის შესამცირებლად მიზანშეწონილია იმ მეთოდების დამოყენება, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ არის დანერგილი. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია მაღალი ჯარიმების შემოღება მსგავს გამოვლენილ შემთხვევებზე, რაც მაქსიმალურად ზღუდავს პროვაიდერს წავიდეს რისკიან ქმედებაზე

გამოწვევები

პროგრამის მომავალი დაგეგმვა ხდებოდეს შედეგების კვალიფიციური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. ამ მიზნით შჯსდ სამინისტროში უნდა არსებობდეს შესაბამისი ანალიტიკური სამსახური.

გასაჯაროვდეს პროგრამის მიმდინარეობისა და დანახარჯების შესახებ ინფორმაცია. მსგავსი პრაქტიკა არსებობდა 2014 წლამდე.

განხორციელდეს ფუნდამენტური ცვლილება პროგრამის დიზაინში, რომელიც “აიძულებს” ბენეფიციარებს უფრო მეტად ისარგებლონ პრევენციული და არა გადაუდებელი მომსახურებით

დაინერგოს პჯდ პროვაიდერების ანაზღაურების მოტივირებადი სისტემა

აუნაზღაურდეს ამბულატორიული მედიკამენტები სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მკურნალობის გადავადება დაავადების მნიშვნელოვან დამძიმებას და გაქრონიკულებას იწვევს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო



კერძო სამედიცინო
დაწესებულებების
მონიტორინგის
პრობლემა
მნიშვნელოვანია

საქართველოში
დაავადებების 2/3-ზე
მეტი ქცევითი
ფაქტორებით არის
განპირობებული



ადვოკატირება

- წარმატებული ადვოკატირება პროექტის ფარგლებში (2016 წლის ივნისამდე)
- შჯსდ სამინისტრო, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი იზიარებენ რეკომენდაციებს
- თუმცა გაზიარების მიუხედავად, ყველა რეკომენდაციის პრაქტიკული იმპლემენტაცია არ განხორციელდა
- ადვოკატირება გრძელდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად

გმადლობთ ყურადღებისათვის!